პროექტი

საქართველოს მთავრობის

განკარგულება

N 2023 წლის----------ქ. თბილისი

შპს „მოსავლის მართვის კომპანიას“ მიერ სახელმწიფო შესყიდვების გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ

1.„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებელი ჩატარების მიზნით, შპს ,,მოსავლის მართვის კომპანია“-მ (ს/კ 405406109) 2023 წლის რთველისათვის საჭირო საქონლის და მომსახურების სახელმწიფო შესყიდვები განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.“

2.„გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-10 მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად, ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შესყიდვებთან დაკავშირებით გასაფორმებელი ხელშეკრულებების მიმართ დადგინდეს ამავე წესის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტსაგან განსხვავებული პირობები და არ გავრცელდეს ამ წესის მე-11 მუხლის პირველი და 1^1 პუნქტებით, მე-12 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით, ასევე მე-13 მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი მოთხოვნები.

პრემიერ-მინისტრი ---------- ირაკლი ღარიბაშვილი

განმარტებითი ბარათი

შპს „მოსავლის მართვის კომპანიის“ მიერ სახელმწიფო შესყიდვების გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ საქართველოს მთავრობის განკარგულების პროექტზე.

ინფორმაცია სამართლებრივი აქტის პროექტის შესახებ

წინამდებარე განკარგულების პროექტის მიღება განპირობებულია იმ გარემოებით, რომ „2023 წლის რთველის ხელშეწყობის ღონისძიების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 19 ივნისის #1156 განკარგულების მე-6 პუნქტის საფუძველზე ა(ა)იპ „სოფლის განვითარების სააგენტოს“ მმართველობაში მყოფ შპს ,,მოსავლის მართვის კომპანიას“ დაევალა 2023 წლის რთველის პერიოდში ყურძნის მიღება-გადამუშავებისთვის აუცილებელი ღონისძიებების ჩატარება. ღონისძიების მიზანი და სახელმწიფო ინტერესი არის მევენახეთა მხარდასაჭერად შესაბამისი ზომების გატარება, რადგან ბაზარზე სრულად იქნეს რეალიზებული ყურძნის მოსავალი. ღონისძიების მაღალი სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობა უკვე გამოხატულია ზემოაღნიშნული განკარგულების გამოცემით, რომლის ფარგლებშიც შპს ,,მოსავლის მართვის კომპანია“ ვალდებულებას იღებს დასახული მიზნების მიღწევისათვის ოპერატიულად უზრუნველყოს შესაბამისი ღონისძიებების გატარება.

ღონისძიების ჩატარებისათვის განკუთვნილი პერიოდი იყოფა ორ ეტაპად. პირველი ეს არის რთველის პროცესი, რაც გულისხმობს როგორც კახეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და აჭარის რეგიონში კერძო კომპანიების შესყიდვის შემდეგ ბაზარზე დარჩენილი ყურძნის შპს ,,მოსავლის მართვის კომპანიას“ მიერ შესყიდვას, რომელიც კახეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და აჭარის ვენახების სხვადასხვა გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე გრძელდება თვენახევარი - ორი თვის განმავლობაში და მეორე არის ყურძნის გადამუშავების, მიღებული სითხეების ტრანსპორტირების მომსახურების და სპირტად გამოხდისათვის საჭირო მანქანა-დანდაგრების ქირავნობის პროცესი.

გარემოება, რომ სახელმწიფო ყოველწლიურად ცდილობს ყურძნის რეალიზაციის ხელშეწყობას ახალი არ არის და წინა წლების პრაქტიკის გათვალისწინებით ღონისძიების შესაძლო სახელმწიფოებრივი მხარდაჭერა წელსაც მოსალოდნელი იყო, თუმცა როგორც წინა წლებში, ასევე მიმდინარე წელსაც შეუძლებელია წინასწარ განისაზღვროს ყურძნის საერთო საპროგნოზო მოსავლის რაოდენობიდან რა რაოდენობის ყურძენი დარჩება ბაზარზე კერძო კომპანიების მიერ შეუსყიდავი.

მოცემული ღონისძიების ფარგლებში მთავარი შესყიდვის ობიექტი არის ყურძენი და შესყიდული ყურძნის რაოდენობაზეა დამოკიდებული ასევე მისი გადამუშავებისთვის საჭირო ტარის, დამხმარე მასალების, ტექნიკური აღჭურვის და სათადარიგო ნაწილების, ასევე მომსახურებების (ყურძნის გადამუშავების მომსახურება, მიღებული სითხეების ტრანსპორტირების მომსახურება, სპირტად გამოხდისათვის საჭირო მანქანა-დანდაგრების ქირავნობის და საბანკო მომსახურების) შესყიდვების რაოდენობებისა და მოცულობების განსაზღვრა.

გარდა ამისა შპს ,,მოსავლის მართვის კომპანიას“ მიერ წინა წლების პრაქტიკიდან გამოდინარე სავარაუდოდ 60-70 ათასი ტონა ყურძნის მიღება-გადამუშავება ხორციელდება სხვადასხვა კერძო ღვინის ქარხნებში დაქირავებული სიმძლავრეებით, რომელთა სართვლოდ მომზადება მოითხოვს წინასწარ ავანსის სახით თანხების გაცემას, სხვადასხვა დამხმარე მასალების, სათადარიგო ნაწილების და

ტექნიკური აღჭურვილობის შეძენას, რის გამოც შპს ,,მოსავლის მართვის კომპანიას“ მიერ განხორციელებულ შესყიდვებზე არ უნდა გავრცელდეს წინასწარ ანგარიშსწორებაზე გარანტიის წარდგენის ვალდებულება.

ზემოაღნიშნული მიზეზების გათვალისწინებით, ღონისძიებისათვის საჭირო შესყიდვების ელექტრონული ტენდერ(ებ)ის საშუალებებით განხორციელება გამოიწვევს ღონისძიების არსებით შეფერხებას, ჩაშლას ან/და მისი უწყვეტად ჩატარების ხელშეშლას შემდეგი გარემოებების გათვალისწინებით:

- ყურძნის შესყიდვის შემთხევვაში შემსყიდველი ორგანიზაციის მომწოდებლები არიან მევენახეები/გლეხები, რომლებსაც დარჩათ გაუყიდავი ყურძენი და ობიექტური მიზეზების გამო ყველა ვერ შეძლებს შესყიდვების ელექტრონულ სისტემით სატენდერო პროცედურებში მონაწილეობას.
- შპს ,,მოსავლის მართვის კომპანიას“ მიერ შესყიდული ყურძნის გადამუშავებისათვის საჭირო ტარის, დამხმარე მასალების, ტექნიკური აღჭურვის, სათადარიგო ნაწილების და მომსახურების (ყურძნის გადამუშავების მომსახურება, მიღებული სითხეების ტრანსპორტირების მომსახურება, სპირტად გამოხდისათვის საჭირო მანქანა-დანადგარების ქირავნობა და საბანკო მომსახურება) რაოდენობის განსაზღვრა, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, დამოკიდებულია შესყიდული ყურძნის რაოდენობაზე, რომელიც ასევე წინასწარ გაუთვალისწინებელ ხასიათს ატარებს.
- მომსახურების (ყურძნის გადამუშავების, მიღებული სითხეების ტრანსპორტირების მომსახურება და სპირტად გამოხდისათვის საჭირო მანქანა-დანადგარების ქირავნობა) უზრუნველყოფა შპს ,,მოსავლის მართვის კომპანია“ ახორციელებს კახეთის 8 რაიონში განაწილებულ 15-20 ქარხანაში, რომელთა სხვა ალტერნატიული ვარიანტი რაიონებში არ არსებობს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საჭირო ღონისძიებების შეუფერხებლად ჩატარების მიზნით შპს ,,მოსავლის მართვის კომპანიამ“ 2023 წლის რთველისათვის საჭირო საქონლისა და მომსახურების სახელმწიფო შესყიდვები უნდა განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, შესყიდვის ღირებულებაა 60 000 000 ლარი.

წარმოდგენილი განკარგულების პროექტის მიღების შემდეგ ,,გამარტივებული შესყიდვების კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე'' სსიპ-სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს #13 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-10 მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად, ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებულ სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებით გასაფორმებელი ხელშეკრულებების მიმართ, არ გავრცელდება ზემოაღნიშნული ამავე წესის მე-11 მუხლის პირველი და 1^1 პუნქტებით, მე-12 მუხლის პირველი და მეორე პუნქტები, ასევე მე-13 მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი მოთხოვნები და შპს ,,მოსავლის მართვის კომპანიას'' ეძლევა უფლება მიმწოდებელ ორგანიზაციასთან გააფორმოს ხელშეკრულება განსხვავებული პირობებით, კერძოდ, ხელშეკრულების უზრუნველყოფის მექანიზმის გამოყენების გარეშე და საჭიროების შემთხვევაში, განახორციელოს წინასწარი ანგარიშსწორება საბანკო ან/და სხვა სახის გარანტიის მოთხოვნის გარეშე.

ინფორმაცია ევროკავშირის სამართლებრივი აქტის შესახებ

პროექტის მომზადებისას არ არის გამოყენებული ევროკავშირის სამართლებრივი აქტი.

პროექტის მიღებით გამოწვეული საფინანსო-ეკონომიკური შედეგების გაანგარიშება

პროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე და არ წარმოშობს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს, ვინაიდან შესყიდვები განხორციელდება შპს ,,მოსავლის მართვის კომპანიის'' სახსრებით და შესყიდვების სავარაუდო ჯამური ღირებულება შადგენს 60 000 000 (სამოცი მილიონი) ლარს.

პროექტის მოსალოდნელი შედეგები

პროექტის მიღებით შპს ,,მოსავლის მართვის კომპანია'' გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განახორციელებს 2023 წლის რთვლის შუფერხებლად ჩატარების ხელშეწყობის მიზნით საჭირო საქონლისა და მომსახურების შესყიდვას.

პროექტის მიღებით გამოწვეული საფინანსო-ეკონომიკური შედეგების გაანგარიშება

განკარგულების პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი ასიგნებების გამოყოფას საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ამასთან, განკარგულების მიღება არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

პროექტის განხორციელების ვადები

პროექტით რაიმე ვადა არ არის დადგენილი.

პროექტის ავტორი და წარმდგენი

პროექტის ავტორი და წარმდგენია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო.